



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ხელმძღვანელობას

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატი
(პროგრამული კოდი: 01 01)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

სარჩევი

1 . პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	3
1.1 აქტივების აღრიცხვა	3
2. სხვა გარემოებები	4
2.1 დანაკლისები	4
2.2 შრომის ანაზღაურება.....	4

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის (შემდგომში - უმაღლესი საბჭო) 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 აქტივების აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოებები

- ბალანსის ანგარიშზე „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართი ფორმა №5-ში წლის ბოლოს წარდგენილია 17,234.63 ლარის, ხოლო ძირითადი კაპიტალის მოხმარება - 5,768.44 ლარის ოდენობით, ასახულია 40 ერთეული 3,757.00 ლარის ღირებულების სრულად ამორტიზებული აქტივები და მათზე ზედმეტად დარიცხული ცვეთის თანხა 709.00 ლარი. შედეგად ბალანსის მუხლი „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ წლის ბოლოს გაზრდილია 3,048.00 ლარით, ხოლო საანგარიშო წლის წმინდა ღირებულება ბალანსის ფორმა №3-ში შემცირებულია 709.00 ლარით. შესაბამისად, 3,048.00 ლარით შემცირებულია ბალანსის საცნობარო მუხლის - „ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი.
- ბალანსის ფორმა №1-სა და დანართი ფორმა №5-ში „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ბალანსის ანგარიშზე წლის ბოლოს ნაშთი არ ფიქსირდება. როგორც დადგინდა, აუდირებული წლის განმავლობაში ობიექტმა შეისყიდა 12,564.00 ლარის მატერიალური აქტივები, ხოლო წლის განმავლობაში ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური აქტივების გასვლასთან დაკავშირებით ჩამოწერის საბუთები წარმოდგენილია მხოლოდ 3,117.00 ლარის აქტივებზე. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ისეთი მატერიალური აქტივები, რომლებიც ბალანსის შესაბამის მუხლზე წლის ბოლოს ნაშთის სახით უნდა ყოფილიყო აღრიცხული. პასუხისმგებელი პირის ინფორმაციით, წლის ბოლოს მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენდა 1,413.00 ლარს, რომელიც არ ასახულა ბალანსის შესაბამის მუხლზე. თუმცა ვინაიდან ობიექტის მიერ არ ხორციელდება მატერიალური აქტივების გასვლაზე კონტროლი და გასავლის საბუთების წარმოება, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული რწმუნება 2018 წლის იანვარში გასული მატერიალური მარაგების შესახებ. შესაბამისად, ვერ დასტურდება წლის ბოლოს ნაშთი, რომელიც ასახული უნდა იყოს ბალანსის ფორმა №1-ში „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ მუხლზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსის „ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ საცნობარო მუხლზე არ ასახულა საანგარიშგებო წელს სრულად ამორტიზებული 19,319.00 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ერთი ერთეული ა/მანქანა.

რეკომენდაცია №1

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნას აქტივების (მატერიალური მარაგების) გასვლაზე კონტროლი და გასავლის საბუთების წარმოება. ბუღალტრული კორექტირებების საფუძველზე განხორციელდეს ძირითადი აქტივების და მატერიალური

მარაგების ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №1-ში, №3-ში და №5-ში) სწორად ასახვა.

2. სხვა გარემოებები

2.1 დანაკლისები

გამოვლენილი გარემოებები

ბალანსის ფორმა №1-ში და დანართი ფორმა №7-ში, „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ ბალანსის 1440 ანგარიშზე აღრიცხულია 16,640.00 ლარის არაფინანსური აქტივების დანაკლისები: ცეცხლსასროლი იარაღი, „მერსედესის“ მარკის ა/მანქანა, 4 ცალი კომპიუტერი. ხოლო საცნობარო მუხლში „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“, აღრიცხულია ანგარიშვალდებულ პირებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რიცხული ზედმეტად ანაზღაურებული ა/მანქანის საწვავისა და მივლინების - 7,409.00 ლარის თანხები. დანაკლისებისა (გარდა ცეცხლსასროლი იარაღისა) და უიმედო დებიტორული დავალიანების ამოღების მიზნით, აუდირებული წლის განმავლობაში, ობიექტის მხრიდან ზეპირი კომუნიკაციის გარდა, სხვა ღონისძიება არ ჩატარებულა.

რეკომენდაცია №2

გატარდეს ქმედითი ღონისძიებები არსებული დანაკლისების აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცეცხლსასროლი იარაღის უკან კანონიერ მფლობელობაში დაბრუნებას და შემდგომ განკარგვას (აღნიშნულ ფაქტზე ინფორმაცია წარდგენილი იყო წინა აუდიტის ანგარიშშიც).

2.2 შრომის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები

- მოქმედი კანონმდებლობით შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, ხოლო ხელფასის დარიცხვა და გაცემა აისახება დარიცხვის და გაცემის შესაბამისი თვის ბუღალტრულ ანგარიშგებაში. მიუხედავად აღნიშნულისა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებზე ივლისის თვეში გაიცა არა მარტო ივლისის, არამედ აგვისტოს თვის ხელფასიც.
- უმაღლეს საბჭოში არ იწარმოება სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი. ხოლო თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის ჟურნალი, რომელსაც აწარმოებდნენ მხოლოდ 2017 წლის მარტიდან, სრულად და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამუშაო დროის კონტროლს.

რეკომენდაცია №3

შრომის ანაზღაურების გაცემა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად - თვეში ერთხელ, ხოლო აღრიცხვა მოხდეს შესაბამისი თვის ბუღალტრულ ანგარიშგებაში. მოწესრიგდეს სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის წარმოება და უზრუნველყოფილი იქნას თანამშრომელთა სამუშაო დროის ეფექტური კონტროლი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE